

დაწერილობაში იქიდან წარმოდგება, რომ მართლწერის საკითხებში სხვადასხვა გზას ადგანან, მაგალითად, „ივერია“ ისტორიულ პრინციპის იცავს (იცავენ იმ დაწერილობას, რომელიც გვხვდება საღვთო და საერთო ფერდინანდი), „კვალი“ კი ფონეტიკურ თათოგრაფიას მისდევს — წერებ ისე, როგორც გამოითქმის თანამედროვე სახალხო და სალიტერატურო ენაში. პ. ჭარაია მხარს უჭირს „კვალის“ პოზიციას: მცენად იწერებოდა: მწუხაუედ, პირველად, ტკბილად... დღეს და აღარ ისმის, გვაქვს თ. დ-ს აღდგენა შეუძლებელია, უნდა ვწეროთ თ. ასევე ვერ დავუბრუნდებით თვე სიტყვის ძველ მართლწერის თოვე. ასე რომ, ძველი ფორმების შენარჩუნებას ვაქნი უშედვეთ.

ესეც კია, რომ, პ. ჭარაიას აზრით, ისტორიული მართლწერის დაცვას „შოგ შემთხვევაში თავისი მნიშვნელობა აქვს“<sup>47</sup>.

ცნობილია ს. ხუნდაძისა და ა. შანიძის პავერთბა. ამაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამ წინააღმდეგობათა მიუხედავად, ს. ხუნდაძის დიდ ღვაწლს ხედავდნენ და აუსიებდნენ მისი თანამედროვენი. იუსტ. აბულაძე, აღნიშნავს რა ქართული გრამატიკული ლიტერატურის სიღარიბეს, წერს: „ამისთანა მდგომარეობაში სწორედ გაჭირვების ტალკვესია ისეთი კეთილსინვისიერი შრომა, როგორიც არის ს. ხუნდაძის „სალიტერატურო ქართული“... ავტორი ცდილობს გააძარტივოს და გააკეთილსოვანოს სალიტერატურო ენა, ამისთვის გვაწვდის საბუთებს“<sup>48</sup>.

ს. ხუნდაძის წიგნს მიღალ შეფასებას ამღევს ა. ჩახანაშვილი: „ჩვენ დიდათ ვაუსიებთ ს. ხუნდაძის დინასტიულ შრომას და თითქმის კოველს მის სტრიქონს ქვეშ ხელს მოვაწერთ თანხმობის ნაშროვათ“<sup>49</sup>.

განდა უამრავი საღაეო ფაქტის განხილვისა და მისაღები კრიიანტების დაღვენისა, ს. ხუნდაძემ შოგადთვითიული ხახიათის მრავალი საინტერესო მოსაზრება გამოოქვა სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით. ჩამოახალიბიბა ნორმალიზაციის პრიცეპები. ბევრ შემთხვევაში შერთებული პოზიცია შეაჩინა და თავდაღებით იძრტდა ამ დიდი ერთვნული საქმისათვის.

<sup>47</sup> პ. ჭარაია, ქართლი სალიტერატურო ენა თა ქართული მართლწერა, მთაბეჭ, 1895, № 2.

<sup>48</sup> ა. უსტი, მარტინ სალიტერატურო ქართული მოლოდინ ხუნდაძის გმირებულებისა, 1902, „მოსწორი“, 1902, № 6.

<sup>49</sup> ა. ხახანაშვილი, სალიტერატურო ქართული, სოლოვიევის ხუნდაძის გმირებულების, 1901, „კვალი“, 1902, № 18.

ტრადიციული შესედულების (ანგონ I და II) საწინააღმდევ-  
ვოდ, ს. ხუნდაძეც ენის ცეკვებადთბას აღიარებს; უერთდება მო-  
საზრებას, რომ სალიტერატურო ენაშ თრიენტაცია ჩაღხის მიზან-  
დებაზე უნდა აიღოს; ხედავს მჰიდრო კაციონს ენისა და მისი მფლო-  
ბელი ერის მდგომარეობას მორის; სალიტერატურო ენის მძიმე  
კითხვებიდან გამოსავალს ხედავს ყველასთვის სავალდებულო მარ-  
თლწერის წესების შემუშავებაში, კანცისების დადგენაში სახელმწი-  
ფოებრივ დონეზე; თვლის, რომ ნორმების შემუშავებისას უნდა და-  
კვირდნოთ ძველი ენის მონაცემებს, კლასიკოსთა ენას და ხალხურ  
ძეტყველებას; ცდილობს, რომ სალიტერატურო ენის ნორმების შე-  
მუშავებისას გათვალისწინებული იყოს საქართველოს ყველა კუთ-  
ხის, ყველა დიალექტის მთაცემები; ნორმების შემუშავებაში უნდა  
მონაწილეობდეს ყველა კუთხის წარმომადგენელი; მისი აზრით,  
დიალექტური მასალის განუკითხავად შემთხანა დაუშეებელია; დია-  
ლექტიზმების გამოყენება დასაშვებია მსოლოდ პერსონაჟის მეტყვე-  
ლებაში; უცნო სიტყვების შემთხანა ზოგჯერ აცილებელია (თუ  
ძაღალი სიტყვა არ გააჩნია ქართულს), მაგრამ უცნო გრამატიკუ-  
ლი გატეგორიის შემთხანა არაშე და არამც არ შეიძლება; უცნო  
სიტყვებში ჩვენი ენის მართლწერის წესები უნდა დავიცვათ; სალი-  
ტერატურო ენის ნორმათა დასადაცხად მოსავალია შემდგარ პრინცი-  
პები: უორმის ნიმარტივე, წარმოების სისტორი, ისტორიული გა-  
მართდებულობა, გავრცელებულობა და კეთილგმოვანება; ორთო-  
გრაფიას საფუძლად უნდა დაედოს კეთილხმოვანება, ფინეტიკური  
პრინციპი.

-II. სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის მოღვაწეობი-  
სას ს. ხუნდაძეს მხარში ედგა მეტად ნიჭიერი, ერუდიტებული კნათ-  
მეცნიერი, ენების მცოდნე, სერიოზული მკვდევარი კოტე დოდაშვი-  
ლი (დაბადების წელი უცნობია, გრადაციებალა 1919 წ. მოღვა-  
წეობდა XIX სას 80 იან და XX სას 10-იან წლებში). მისი კვლე-  
ვის საგანი იყო ქართული ენის გრამატიკული წეობა და ქართული  
ლექსთწყობა<sup>50</sup>. კ. ღოდაშვილი თვის მოღვაწეობაში დიდ ადგილს  
უთმობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკით-  
ხებს. მისი შრომების ნაწილი ცალკე წიგნად გამოვადა 1914 წ.

<sup>50</sup> კ. ღოდაშვილის სენატერენირო ნარიმები ერცლაზ ქეთ შომხილული  
არ. ჩიქობავს სახელობის ხათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს შეცნირ-თმა-  
შრომებს შურმან სურაშვილს. ხელმწერია ინაკება ასტრუტის აჯაფში.

კ. დოდაშვილმა ჯერ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა სალი-ტერატურო ენის სადაცო საკითხებს. შემდეგ კი „კვალის“ პოზიციების ნათელსაყოფად 1894 წ. № 39-ში წარმოადგინა პრინციპები, რედაქციის მთხაზრებანი ენის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით<sup>51</sup>.

აյ ჩამოყალიბებულია გარკვეული თვალსაზრისით შემდეგ სადა-ცო საკითხთა შესახებ: სჭირდება თუ არა ქართულს ორთოგრაფია; განიდევნოს თუ არა შედმეტი ასოები; მივიჩნიოთ თუ არა სალიტერატურო ენის ბაზისად საღები მეტყველება; სწორია თუ არა საღი ტერატურო ენაში დასავლური დიალექტების გამოყენება; შეიძლება თუ არა ახალი სალიტერატურო ენა შეიქმნას ძველი და თანამედრო-ვე ერთულის შეჯვარებით და სხვ.

კ. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილ პრინციპებში აშკარად იღრმნობა აეტორის ენათმეცნიერული განათლება, ქართული გრა-მატიკის ღრმა ცოდნა, ნორმალიზაციის საკითხების ნათელი ხედვა.

„აი, რა პროგრამით აპირებს „კვალის“ რედაქცია მუშაობას სალიტერატურო ენის შემუშავებისთვის“. — აცხადებს კ. დოდაშვი-ლი და წარმოადგენს პრინციპებს, რომლებიც 9 პუნქტისაგან შედ-გება:

1. თანამედროვე სასაუბრო სახალხო ენის გამოყენება სალი-ტერატურო ენის საყრდენად: „დიტერატურაში ბატონობლეს ჩენი თანადროული სასაუბრო ენა, ნამდვილი ქართული და არა შერეული“;

2. ძველი და ახალი ენის შეჩვენით მიღებული მექანიკური ენის განვითარება: „განიდევნოს ის მეხანიკური ენა, რომელიც შექმნეს ზოგიერთმა მწერლებმა ძველისა და ახალი ფორმების ერთი ერომა-ნეთში არევით“;

3. წერისა და კითხვის თანხვდომა. ორთოგრაფიისაოვის გვერ-დის ავლა: „აშორდეს ქართულ ენას ორთოგრაფია, ანუ არ მოხდეს განსხვავება წერისა და კითხვას შორის“;

4. ზედმეტი ბეგრების განდვნა: „განიდევნოს სიტყვებიდან ის ზედმეტი ბეგრები, რომელიც არავითარ პალ კილოს არ აძლევენ სიტყვების დედა-აზრს და ამიტომ ენისაოვის გამოთქმაში შეადგუ-ნენ მეტ საწყალებელს“;

5. პარალელური დიალექტური ფორმებისაგან უფრო კანონიერი, ქართული ენის ბუნებას მისადაგებული ფორმების შერჩევა: „შესა-

51 კ. დოდაშვილი, პ-ში თავის ამსონიდეს, „კვალი“, 1894, № 39, გვ. 10.

ძღვებულია საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ისმარებოდეს რომელთ-  
მე დამასინჯებული ფორმები (პროვინციალიზმები), მაგრამ მათი  
შეტანა საღიტერატურო ენაში მოუხერხებელია, რადგანაც დანაჩ-  
ჩენ კუთხებში ისმარება კანონიერი ფორმები, ქართული ენის ბუ-  
ნება-ხასიათშე უდიდამოჭრილი”;

6. გურია-იმერეთ-სამეგრელოში შემოტჩენილი ბუნებრივი ქარ-  
თული სიტყვების გამოყენება: „სასურველია შეწყნარება და შეოვ-  
სება იმ ბუნებრივ ივერიელ ენათა სიტყვებისა, რომელიც გაფან-  
ტულ არიან გურია-იმერეთ-სამეგრელოში. ხოლო მათ მაგიერ  
ქართლ-კახეთში გაძატონებულია სიტყვები: სპარსული, თათრული,  
სომხური და წუხული”;

7. ხალხის მეტყველებაში შემოკლებული სიტყვების მიღება  
საღიტერატურო ენაში: „მიღება საღიტერატურო ენაში ზოგიერთ  
სიტყვებისა იმ სახით, რა სახითაც იგინი შეუშოკლებია საღას თა-  
ვის გამოთქმაში. თუ ეს შემოკლება არ იწვევს ცნებათა არევას”;

8. ზნაში ასახული სიტყვების (=ნაცვალსახელების) ამო-  
ლება წინადაღებიდან: „გამოტოვება საზოგადოთ წინადაღებიდან  
იმ სიტყვებისა, რომელთა აღმნიშენელ ზმნება აქვთ ხოლმე ჩარ-  
თული”;

9. უღვლილების გამარტივება: „შემოკლება რთული უღლებასა  
თვი, როგორც ამას მოითხოვს ხალხის გენიოსობა – (გენი  
народა)”.

სხვადასხვა საკითხებისადმი მიძღვნილ წერილებში გვხვდება  
კ. დოდაზილის ზოგი სხვა შესხდულებაც ზოგადპრინციპულ საკითხ-  
თა შესახებ. მაგ.:

1. ენას თავისი კანონები აქს. თავს მოსუეულ კანონს ენა არ  
მიიღებს: „კოველი ენა, თვით დაბაზ ფორმაციაში შემუშავე  
თავის ასევეში მოსული ბრძენია და არა ბალდი და მაგრე აღვიღად  
არ დაპნებდება კრიფტის ასაკზაფათ ძალად მაცხონებს”<sup>52</sup>.

2. არ არსებობს გრამატიკული კანონი გამონაკლისის გარეშე:  
„ენაში არ არსებობს რაიმე სწოროქმა, რომელსაც არ ძქონდეს გა-  
მოსაკლები”<sup>53</sup>.

3. ენის გრამატიკული აგებულება მყარია, ნაელებად ემორჩი-  
ლება ცვლილებებს, მაშინ, როცა სპეც მხარე ენისა (ლექსიკა, ზოგ-  
ჯერ ფორმანტებიც კი...) უცხო ენათა გავლენით ან ზოგჯერ თვით

<sup>52</sup> კ. დოდაზილი, საგრძნობრივი კლიმა, ებრუ, 1894, № 37.

<sup>53</sup> ი. ვ. ვ.

ენაში მომხდარი პროცესის შედეგად (შემოკლება, ფონუტიფიცირივალებები...) შეიძლება ხახებ ცეკვლიდეს:

„რომელიმე ენა შეიძლება მჩვად საუკუნეთა განჩავლობაში ვაირყენს სხვადასხვა ენგზიდან შეტანილი სიტყვებით. აგრეთვე შეიძლება მან შეითვისოს უცხო ენგბის რომელიმე შემადგენელი ელემენტები... აგრეთვე შესაძლებლია, მის საკუთარმა შემადგენელია ელემენტებმა იყვალოს სახუ ან უბრალო შემოკლებით. ან ფონეტიკური გადაგვარებით. ხოლო ამ ენის ფორმების ახალიშექმნები, ანუ, საზოგადოდ რომ ესთქვათ, ენის გრამატიკა, უსოფარი დროიდან დაყოლილი და დაქანონებული ამ ენასთის, შეუძლებელი და საუკუნო იქმნება ყოველთვის, ყიდრე რაიმე უღვეს ძალა არ შემუსრავს და წალევავს იმ გრს, რომელიც ლაპარაკობს ამ ენაზე“<sup>54</sup>.

5. ქართულისთვის ბუნებრივი აზ აზის ორი ეროვნული თანხმოვნის მაგმოყენა: „ქართული ენა ერიდება ორი თანაბარი თანხმოვნანთ შესვედრას სიტყვებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე თანაბარი თანხმოვნი აძლევს მიუღს სიტყვას რაიმე განსხვავდება მნიშვნელობას. მაგ კავშირით დაბი, წარილობა-ნი...“<sup>55</sup>

**III. ბევრი წერტოელი.** ახალი საღიტეტატურო ქართულის წარმატება ორგანულადაც დაკავშირდებული იღიასა და ბევრის სხესლებთან. ეს ორი უდიდესი მიროვნები თავითმო მოღვაწეობითა და მშემსით თავდადებით იღებული და უძლებოდა პრინციპს ქართველი ერის, მისი ენის საკეთი ღდღეობა. მაგრა ენის ღირსების დასაცავად, უფლებების აღსაზღვენად, მას დასაცემად...

აკეთ თავისი შეხედულებებით არაურიც ას ჩამორჩებოდა იმ-  
ტომინდელი ენათმეცნიერული აზროვნების დონეს. მის ნაწერებში  
გვხვდება სსველის ენის რაობის, მისი ისტორიული ხსიათის,  
ენის ჟანრების კლასიფიკაციის ხელშესქებლობის შესახებ, ქართველი  
ენის, მისი ენისა და მწერლობის სიძველის, მკვდი ქართული სილი-  
ტერატურო ენის დახვეწილობის თაობაზე, ქართული სალიტერატურო ენის  
განვითარების ხავების, ასალი სალიტერატურო ქარ-

М. Е. Симонова, Зоологический журнал, 1894, № 37.

- 5 -

36 - 39.

თუდის ჩამოყალიბებისა და იმჟამინდელი შდგომაზეობის, საღიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში მწერლობისა და ოქატრის როლის შესახებ...

გულმესურეადლედ მსჯელობდა და კაშათობდა აკაკი საღიტერა-  
ტურო ქნის საჭირობოროზო საკითხებზე. გძიებდა უფრო მარჯვე  
ლექსიკურ ერთეულებს, დევნისაგან იცავდა ცოცხალ ენაში მთარე-  
ბულ სიტყვებს, გარკვეულ შემთხვევაში მხარს უჭირდა დაღუქ-  
ტურ პარალელიზმებსაც. როგორც ენის სიმღიდოს ერთ-ერთ ხა-  
სახს.

ამის ნათელსაყოფად შეცეცდებით მუხლებად ჩამოვაკლიმო აქავის მრავალ წერილში გაპნეული ზოგადი კორიული შესეფერები საღიტტერტურო კნის ნორმალიზაციის შესახებ, რათა გააღვიზებს სხვა ავტორთა შეცეცდებებთან შედარება. აკავის მიზანი

1. „ენა... ნაგრძობ-ნაფიქტალის გამომხატველი იარაღია”<sup>57</sup>.
2. ენა ისტორიული მოვლენა, ცვალებადია, „ადამიანის განკითარებას თან მიჰყება და ამიტომაც თანდათან იქცბა და მდიდრდება, ასაღი ძველს აღარა შეგავს და დღეებანდელისაგან მომავალი უნდა განსხვავდეს, უნდა გაიზარდოს”<sup>58</sup>.

3. ენას თავისი განვითარების კანონები აქვს, გარედან რისამე თავში მოხვევა შეუძლებელია: „ამ კანონების გადახვევა უინიოა და სხის უმეტესობით არ შეიძლება“<sup>44</sup>.

4. ქართული ენა (ისევე, როგორც ქართველი ხალხი) ძველის-ველია: „სათავე ქართველობის და ქართული ენის ჯერ არა აქვს

<sup>57</sup> ა 3 3 0 ვ 3 რ მ გ ლ ი ა , ნოტილი , თებერ , 1911 , № 12; მ ს ს . კ ა . ქ ე დ . XIV , 1961 , ვ 2 . 312.

56 of 301

59 033

ისტორიას გამოკვეთილი, მაგრამ ნიმუშებს კი ძალიან შორს მიკვართ<sup>60</sup>.

5. ძველიძველია ქართული დამწერლობაც (მხედრული უფრო ძველია, სუცური — უფრო ასტლი) <sup>61</sup>: „აქამდე განორქვეული არ არის, როდის არის შემოღებული ქართული მწერლობა — ქრისტიანობის დროს თუ წინათვე, კერძობისას. მათთაღია, ისტორიული ჭლაპარი გადმოგვცემს, რომ სომხის ტერტერამ, მესრობისა, გამოუგონა ქართველებს ანბანით, მაგრამ ეს დაძიჯერებელი არ არის“<sup>62</sup>.

6. ძველი ქართული სალიტერატურო ენა დახვეწილი, სრულყოფილი ენაა: „ძველი ქართული ენა ისე კარგათ არის ძველიაგან-ეს შემუშავებული, შექსებული, რომ მისი ზედმიწევნით ცოდნა ძნელდია“<sup>63</sup>. „აიღეთ უცხო ენებიდან ნათარგმნი წევნები საერთო თუ სალეთო-სასულიერო და მაშინ დარწმუნდებით, თუ რამდენად სრულია და შემუშავებული ქართული ენა“<sup>64</sup>.

7. შეა საუკუნეებში სანიმუშოდ დახვეწილი იყო არა მსოლოდ საღიტყრატერო, არამედ ასევე სასაუბრო ქართული ენაც, საღსის მეტყველება. რუსთაველი ამ საერთო-სახალხო ენას იყენებდა: მეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა დამთავრებული იყო არა მარტო ქაღალდზე, ხალხშიც კი სასაუბროდ... რუსთაველს ენა კი არ შეუქნია, მან მხოლოდ საღსის ენა გადმოიღო უმეტნაკლებოდ, რადგანაც... რუსთაველის დროს ქართული ენა გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი კრიც“<sup>65</sup>.

8. ენისა და ერის ასეთი სიძლიერე, სიმტკიცე, ურთიანობა შეპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერით, სიმტკიცით, ერთიანობით, ხალხ შემდეგ, საქართველოს ავტედიბას დროს, „მონგოლებმა რომ მუხრი გავავრეს საქართველოს და თათრობაშ

<sup>60</sup> ა. კაკი, ნაღელი, „აიგვი“, 1911, № 12; თბ. ს. კრებ. X.IV, გვ. 489—493.

<sup>61</sup> როგორც ა. შენიდე წერს, ეს არის გვითაცხული აქვს ილია ოქტომბერის (ა. შენიდე, ალატერატურო ქართულის საჭირობოს საკითხები, თბ. 1972, გვ. 195).

<sup>62</sup> ა. კაკი, პოსხენია, წევითხული ვ. პარტ. ს. აბაშელის სილმონგ., „ოქტომბერი“, 1913, თბ. ტ. XI, გვ. 542.

<sup>63</sup> ა. კაკი, არ კონტა არ კორვაონ, „კვილი“, 1894, № 30, თბ. XIII, გვ. 144.

<sup>64</sup> გ. ი. სიმეონი, შეიმზება, „კვილი“, 1890, № 6; თბ. XIII, გვ. 36.

<sup>65</sup> ა. კაკი, გვ. 340.

ნაწილ-ნაწილ დასკო, მაშინ ენაც დაქნინდა, მთელი ერთს ენა იმდე-  
ნად დაიყო, რომ ერთ კუთხის მეორის ენა ენთორებოდა”<sup>66</sup>.

9. მე-19 საუკუნის 50-იაზ წლებიდან იწყება ძრძოლა ეთია-  
ლა ერთიანი სალიტერატურო ენისათვის. შედარებით ადვილად გა-  
დაწყდა საკითხი, რომ სალიტერატურო ენა ერთი უნდა ყოფილიყო,  
მაგრამ უშალვე დადგა სხვა საკითხი — რომელი უნდა იყოს ეს  
ერთი ენა, რა ენით ვწეროთ — ძველით ოუ ახლით. საჭშუ ვერ გა-  
დაწყდა, სანამ არ გაიმარჯვა თერვდალეულოა აზრმა: უნდა ვწეროთ  
ხელსის ენითო. და ასე „ნელ-ნელა ქართულ მწერლობიში ახალია  
ენამ დაჭირა აღგიღი”<sup>67</sup>.

როგორც შემოოქმედიდან ჩანს, აკაკი საქმთდ სწორად და  
ნათლად წარმოადგინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარე-  
ბის ძირითადი საფეხური, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც იყო  
იმდროინდელი სალიტერატურო ენის საკალალო მდგრადეობა. რაც  
გამოიწვია, ერთი შხრივ დამძერობით მიერ ქართული ენის სამოქ-  
შედო ასპარეზისა და უფლებების შეზღუდვამ, მეორე შხრივ, ენის  
დემოკრატიაციის პრიცესის არასწორად გაგებამ. ამ უკანასკნელს,  
თავის შხრივ, მოჰყავ დიალექტიშმების უხვად შემოჭრა სალიტერა-  
ტურო ენაში.

10. ლექსივის სიუჩვე ენის სიმდიდრეა; მდიდარია ქართული,  
რადგან მას „ღილი სიტყვის კონა აქვს”<sup>68</sup>.

11. აუცილებელია სხვადასხვა კუთხეში შენახული ლექსივის  
შეკრება და ამით სალიტერატურო ენის გამდიდრება, ძველ მწერლო-  
ბასთან კრთად სალხური მეტყველება სალიტერატურო ენის ლექსი-  
კური შარაგის დაუმუეტილი წყაროა. „სხვადასხვა შსაჩერებში  
ბეჭრი მისთან სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა  
აღგიღებში, რომ მათი გამოქვება და მით ჩვენი დღეს დაწინ-  
ნებული ენის შევსება საჭიროა”<sup>69</sup>.

ზოგ კუთხეში დამძერობთა ენის ზეგავლენით ქართული სიტყვე-  
ბი იკარგებოდა, სხვაგან კი რჩებოდა. „ჩენი ვალია, რომ ის სიტყ

66 აკაკი, შენიშვნა, „კვალი”, 1890, № 6, თხ. 3111, გვ. 340.

67 აკაკი, ხდელი, „ოქმი”, 1911, № 12, თხ. XIV, 1901, გვ. 389.

68 გილეად, შენიშვნა, „კვალი”, 1890, № 6, თხ. 3111, გვ. 36.

69 გილეად, ბეჭრობრაცილი შენიშვნი, „კავკასიის კულტურა”, 1899, № 2,  
თხ. ტ. XII, გვ. 436.

კეთი მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუსჯეში და არა გავღვებით მხოლოდ მისითის, რომ იმ ღეჭის ქაღაეში... არ ხშარობენ”<sup>70</sup>.

12. ამ სიტყვების შეკრების ეზო-ერთი კარგი საშუალება არის სალსური ზეპირსიტყვიტების შეკრება, „მაგრამ ისე კა უძდა ჩავტერთ, როგორც თვითით ხალხი ამბობს”<sup>71</sup>.

13. სხვადასხვა დიალექტში არსებული ლექსიკური პარალელიშინი (როველი || სოკელი) ყველა ერთგარად კანონიერია და არ შეიძლება რომელიმე მათგანს ქარვონი უწერდოთ და ამით სალიტერატურო ენაში ზემოსასვლელი გზა გადაუკუჭრათ და სალიტერატურო ენის სინონიმებით გამდიდრებასაც ხელი შეუშაფოთ“<sup>72</sup>.

14. რაც შეეხება დიალექტურ გრამატიკულ ყორმებს (მაგ.: ჩაუხოცავის, გავხედნებ, შეუკიდოთ ცეს, ჯილარიებ, წავასხი...), მათი შემოტანა სალიტერატურო ენაში დაუშენდებლია, რადგან ისინი აზრვეენ ენის კანონებს: „ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვა-დასხვა მხარეებში, როვინციებში გადაუმახინჯებიათ, სელმოსაკი-დები კი არა, გასადევნია”<sup>73</sup>.

15. ასევე უმართუბულოა უცხო ენის სიტყვებისა და გამოთქმების შემოტანა სალიტერატურო ენაში, თუ ეს აუცილებელი არ არის.

16. არ არის გამართლებული სალიტერატურო ენისითის საყრდენად ერთი რომელიმე დიალექტის გამოცხადება და მასშე ორი ენგაციის აღება. სალიტერატურო ენა მთელი ქართველი ხალხის ენაა, ის საერთოა მთელი საქართველოსათვის, ამიტომ ყველა კი-ლოს თანაბარი უფლება გააჩნია და ნორმების შემუშავების დროს ერთ რომელიმე კუთხეს არ უნდა მიეცეს უძირატესობა: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეაღებენ, რომ მთლიანი საქართველოს ენა მარტო მას დავუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ასერეთი”<sup>74</sup>. არ შეიძლება ქართლურს კოველ-აკის მიეცეს უძირატესობა, რადგან სხვა კუთხეებში ზოგჯერ შენახულია უკეთესი ქართული სიტყვა (მაგ.: ქართლურში ისშარება უცხო ენიდან შემოსული სიტყვა „ქუჩა”, იმერულში კი ცოცხალია ქართული „შუკა”; „არტაშანი” სომხურია, მეგრულში შემონახულია ქართული „ხერკალი” და სხვ.).

<sup>70</sup> ა. კ. კ. ა. ენების გასამართლება, „დროება“, 1894, № 452; თხ. ტ. IX, გვ. 111.

<sup>71</sup> ა. კ. კ. ა. ენების გასამართლება, „დროება“, 1890, № 6.

<sup>72</sup> მ. ი. ს. ი. კ. კ. ენების გასამართლება, „დროება“, 1894; თხ. ტ. IX, გვ. 111.

<sup>73</sup> მ. ი. ს. ი. კ. კ. ენების, „დროება“, 1899, 15, გვ. 101.

<sup>74</sup> მ. ი. ს. ი. კ. კ. ნდული, „ტემი“, 1911, № 12; თხ. ტ. XIV, გვ. 393.

არც ქართლურ უმართებულო ფორმებს უნდა დაუყვიროთ შეარი (როგორიცაა, მაგ.: კლევერ, უთოიდ, წაასპი და სხვ.).

აკაკის მსჯელობა უარგონებისა და ფუძე დიალექტის შესახებ სულაც არ ნიშნავს ქართლურის წინააღმდეგ გალაშქრებას ან იმერულის პრიორიტეტისათვის ბრძოლას. აკაკი ცდილობს ყველა კუთხის ინტერესი თანაბრად დაიცვას. აცხადებს რა, რომ ყველა დიალექტის ლექსიური მასაბად თანაბრად უფლებისაა, თანაბრად საინტერესო და გამოსადევთ სალიტერატურო ენისათვის, ამით იგი კუთხერი დაძირისძირების წინააღმდევ იბრძვის.

სავაუბით სამართლიანად აფასებს აკაკის ამ პოზიციას კ. დანელია: „ეს «შენებმიანობის», კუთხერობის საწინააღმდევოდ მიმართული პრიციპული მნიშვნელობის დებულება იყო“<sup>75</sup>.

17. ქართული ენის სიწმინდისა და ლირსების შეღასვაში დანაშაული მიუძღვით ქართველ მწერლებს. მწერლისათვის აუცილებელი მველი ქართული ენის ცოდნა, მველი ლიტერატურის კითხვა, ასევე ხალხის სიტყვა პასუხისათვის ყვრის შიგდება. ენის ხასიათზე დაკვირვება, მისი გრამატიკული კანონების შესწავლა<sup>76</sup>, მწერლად არ ჩაითვლება ას, ვინც არ იცის თავისი ენა: „ეთქმის მწერლი მისიანა თავპედსა და მჯდარნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლწერა, არც განვითარებულია და არც თავის ენა ყანასა და ხალხს იცნობს? — რასაკვირველია, არა!“<sup>77</sup>.

მწერლობა მოვალეა იბრძოლოს სალიტერატურო ენის საკეთოლდეთო. ამისთვის მწერლის ევალება მოიაროს საქართველოს კულტურული კუთხე, ყური შეუცდოს ყოველი კუთხის მცხოვრებთა დაბარებს, ამოკრიბოს აქა-იქ განხეული ლექსიერი მარგალიტები. ასევე გამოყოს, გამოაცალკვით ქართულისათვის შეუღებელი უცხო სიტყვები<sup>78</sup>.

18. ქართული სალიტერატურო ენის მაღალი დონისათვის პასუხისმგებლობა კვისრებათ ქართველ მთარგმნელებსაც. ქართული ენის შესღუდვა-დაქნინების გამო ანალგაზრდობამ აღარ იცის რიგიანად თავისი მშობლიური ენა, აღარ არიან ქართული ენის ლრმად

<sup>75</sup> ქ. დან ე. ლ. ა., აკაკი წერეთლის ნიმუშები ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურის საკონკრეტო, ალისვიჩის, № 4, 1891, გვ. 114.

<sup>76</sup> პ. კადა, უბრალო აუგარე, „აკაკი კრებული“, 1886, № 6, თბ., ტ. XIII, გვ. 344.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 342.

<sup>78</sup> მას ივ გ., ნალული, „ოქმი“, 1911, № 12; თბ., ტ. XII, გვ. 390.

მცოდნე ლიტერატორები. ენის უცოდინარობის გამო მთარგმნელები თითქმის აღარ გვყეს<sup>79</sup>.

მევღმი მთარგმნელები. კარგად ფლობდნენ რა დედაენას, თავი-ათ თარგმანებში მარჯველ იყენებდნენ ქართული ენის სიმღიდრეს, მისი ლექსიკის სიუხვეს და მაღალი დონის თარგმანებს ქმნიდნენ. ვინც რიგიანად იცის ქართული ენა, მისი ლექსიკა, თარგმანი არ გაუჭირდება. მთარგმნელმა ასევე ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, რომლიდანაც თანამშრის ისე, რომ წვრილმანიც რამ არ უნდა გამოეპაროს. თავის საკუთარ ენაში... რაღა თქმა უნდა, დასელოვნებული უნდა იყოს და, ამის გარდა, კიდევ ნიჭითაც თანაბაზი დენის დამწერისა<sup>80</sup>.

19. ქართული სალიტერატურო ენის ინტერესების დაცვა ეკის-რება ქართულ თეატრსაც. სცენიდან კარგი ქართული ენა უნდა ის-მოდეს და არა ბაზაზხანური. „დღეს ქართულ თეატრში, ქართულ სცენაზე დედაენა განსაცდელშია ჩავარდნილი“. — წუხდა აკაკი და შსახიობებს ასე მიმართავდა: „მე თქვენგან მოვითხოვ შემდეგს: გამტკიცებულ-გასპეტაკებულ ქართულ ენას და არა ჩიქორთულს“<sup>81</sup>. ქართულ დრამატურგთა ქართულიც არ მოსწონდა აკაკის, — ობი-გინალური პიესები ჩიქორთული ენით არის დაწერილი<sup>82</sup>.

გამოსავალი შეიძლება იყოს სპეციალური სკოლისა თუ დრამატული კურსების დაარსება, სადაც თავისუფლად ასწავლიან დედა-ენას, სხვადასხვა ხელოვნებას, საშუალოს ისტორიას, ლიტერატურას<sup>83</sup>.

20. აკაკი მხარს უჭერდა კეთილმოვანების პრინციპს: „კეთილ-სმოვანება დიდ საქმეს სჩადის ქართულ ენაში. ხშირად კეთილხეოვანება გრამატიკას ეწინააღმდეგება და არღვევს ფორმებს. მაგ: -ურ (აფხაზური, კახური), საღაც ფუშუში არის რ, -ულ-ად კადარის იმიტომ, რომ კეთილმოვანება მოითხოვს, რომ ერთ სიტყვაში ორი-ერთი და იგივე ასო არ განმეორდეს (შეგრ-ულ-ი, იმერ-ულ-ი...)“.

<sup>79</sup> აკაკი, უმინდონ, „კადუ“, 1893, № 5; თბ., ტ. XIII, 1961, გვ. 36.

<sup>80</sup> გ ი ს ი ვ ი: ბიბლიოგრაფიული ცენტრები, „აკაკი ქრებული“, 1889, № 2; თბ., ტ. XIII, გვ. 312.

<sup>81</sup> მას ე. ე. მცირე რამ შენიშვნა (დაწერილია 1908—1914 წლებს შორის), თბ., ტ. XI, გვ. 591.

<sup>82</sup> ვ ი ს ი ვ ე, ქართული თეატრი, „კერძო“, 1904, № 111; თბ., ტ. XIV, გვ. 222.

<sup>83</sup> ი ქ ვ ი, გვ. 240.

კეთილშმოვენებით სსის აქავი თავის ფორმაში ერთი ს-ს ხშარებას: „თავის დღეში (არ დაივიწყებს) ... უნდა თავისს იყოს, ე. ი. ორი სანით უნდა დაიწეროს... მართალია ეს ჩვენც კაზათ ფიცით, მაგრამ ერთი և კეთილშმოვენებისათვის არის გამოტოვე ჰული, რომ „სს“-ი არ გამოგვივიდეს და უკრში არ გვისისონთსო“<sup>84</sup>.

IV. გამ. „გვალის“ პირველი ტედაქტორი გიორგი წერეთელი (1842—1900) მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული უურნალისტიკის ისტორიაში: იღია ჭავჭავაძესთან, სერგეი მესხესა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად მუ-19 ს-ის მორე ნახევრის პრესისა და პუბლიცისტის შექმნა-განვითარების ერთ-ერთი მძღვრი ბურჯი, დამუშავებელი და რედაქტორი განეთებისა და უურნალებისა: „დროება“ (1866), „გვალი“ (1893), „სასოფლო გაზეთი“ (1868), „კრაბული“ (1871)<sup>85</sup>... ახალი საღიტერატურო ენისთვის ბრძოლაში გ. წერეთელი იმთავითვე „შვილთა“ პოზიციებზე დადგა. 1863 წ. მან მკაფიოდ გამოხატა თავისი თვალსაჩინისი ძველის, კონსერვატიულის წინააღმდეგ, როდესაც შტკიციდ განაცხადა: სახოგადოებაში აღიარდინებული ახალი სელი ახალ სიტყვას და ახალ საქმეს მოითხოვს. კურნ. „ცისკარი“ მოვალეა, მხარი აუბას ამ სიახლეს, დაძლიოს მოძველებული შეხედულებები და ძველი ენობრივი ნორჩები, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაიღუპებათ<sup>86</sup>.

გ. წერეთელი აინტერესებდა მშობლიური ენის მრავალი ასპექტი (ქართული ენის წარმოშობა, ქართული ანბანის გენეზისი, დიალექტების მიმართება საღიტერატურო ენასთან, გრამატიკა, პალეოგრაფია...), მაგრამ ყველაზე მეტად მას მაინც ქართული საღიტერატურო ენის დემორატიზაციისა და ხორმალიზაციის საკითხი აწუხებდა და ეს ბუნებრივიცაა — საღიტერატურო ენის ნორჩები, საკრთო, ყველასათვის საკადდებელო წესები ჯერ კიდევ დადგენილი

<sup>84</sup> გ. კ. გ. ა. მარტინი ართულია, „გვალი“, 1894, № 30; თხ. ტ. XIII, გ. 146.

<sup>85</sup> „კრებულის“ პირველ რედაქტორი გ. წერეთელს მიანიჭეს: 1. პატინაძე, ას. კორქაძე, გ. ბაქაძე, ს. სუნდიძე, კ. კობილიშვილი, შ. რადანიშვილი, ა. ბახვაძე, ა. ბოლქვაძე... მიგრამ ღლ. კალანდა მტკიცებს, რომ ამ კურნალის ტანახუანებით და ტერატორიაზე ნიკა მოიკვებდე არის. ამ შინა „ქართული კურნალისტების სტოროვი“, III, 1995, გვ. 343—349.

<sup>86</sup> გ. წერეთელი, „ცისკარი“ რა აკენებრი, „საქართველოს მომბე“, 1868, № 5.

და დაკანონებული რომ არ იყო, ამას ყველაზე მწყავედ კურნალის-  
ტიკის სფროში მოღვაწე გრძნობდა.

8. წერეთელი მოითხოვდა, რომ პეტიონულ გამოცემებში წერი-  
ლები სხვაზისათვის განაგები ენით, ხალხური ენით კოფილიყო და-  
წყრილი. ტედაქტორის განცხალებაში გაშ. „დროების“ 1866 წ.  
№ 1-ში იგი ხახვასხით აღნიშნავდა, რომ მეცნიერებისა და ხელო-  
ნების შესახებ „სტატიიბრ... შედგენილი იქნებიან ადვილ-გასაკო-  
ნის ენით“<sup>87</sup>. „დროების“ გამოცემის მესამე წლის დასაწყისში კი  
იგი შენიშნავდა, რომ ამ თრი წლის მანძილზე ქართული საზოგა-  
დოება თანაგრძნობას აჩ ტკლუბდა გაშეთს, შემოლოდ ცოტა უგძლეს-  
უილებას გამოხატავდა („ცოტაოდნათ დროკეინავდა“) დიალექტის-  
ტების გამი: „თუ გამოიწეოდა იძრული ლექსთა-თხზვა, ეს ქართლე-  
ოგბს ერთიანებოდათ და ოუ ქართლური ლექსთა-თხზვა იყო, ეს  
იმურლებს ერთიანებოდათ“. ეს გ. წერეთელს იმის მიზენებდად  
მიაჩნია, რომ საერთო ქართული სალაცკრატურო ენის ჩამოყალი-  
ბებას უკრ კიდევ ბევრი დრო და ძალისსმევა სწირდებოდა<sup>88</sup>.

ანიჭომ იგი, როგორც რედაქტორი, დაუღალავად მუშაობდა  
თავისი განვითარების ენის დასახვევად. შემთხვევითი როდის ნეკ  
ნაკოლაძის შეფასება: „გ. წერეთელმა განავითარა გაშეთის ლიტე-  
რატურული იარაღი — ენა და სტილი“<sup>89</sup>.

შავრამ ამ მაღალი შეფასების გვერდით გ. წერეთელს მხატვრუ-  
ლი ნაწარმოებების ენასა და სტილს უწუნებენ. ისსენებენ რა კრ.  
თბილელიანის მეაცე ერიტიკას გ. წერეთელის „მგზავრის წიგნების“  
ენისა და სტილის გამო, კიდევ კროხელ შენიშნავენ, რომ „ნაწარმო-  
ვბის დამძიმებულია დიალექტიშებითი და ბარბარიშებით, უმო-  
ავებულო სტილისტურ-სინტაქსური გამონათქვამებით...“ ამ ნაწარ-  
მოებს „ისე, როგორც საერთოდ გ. წერეთელის მხატვრულ ნაწერებს,  
უდავოდ კელია მხატვრული დამუშავება, ენობრიუ-სტილისტური  
დახვეწია, მას ნაჩერებევთ შეომის დაღი აჭდევია“<sup>90</sup>.

მართლაც, ის ტიტანური შეომა რომ არა, გ. წერეთელი, უდა-  
ვოდ, მეტს იმუშავებდა თავის მხატვრულ თხშელებათ ენასა და

<sup>87</sup> გ. წერეთელი, განცხალება გ.შ. „დროების“ გამოცემაშედ, 1866 წ.,  
„დროება“, 1866, № 1. გვ. 100. ტბშ. ს. ქ. ქ. ე. ტ. 1, 1931, გვ. 686.

<sup>88</sup> ი. ე. ე.

<sup>89</sup> გ. წერეთელი, „ტიტანული ენსტრუმენტი“, 1875.

<sup>90</sup> ი. ე. ე. 1965 წ. 1965, გვ. 526.

3. ქართული სახუკის კლტურის სკოლები

სტილზე. მაგრამ მისი ენის თავისებურებანი მარტო ნაჩქარეობით არ უწდა იყოს შეპირობებული. კაცი, ოომელიც ამდენს სრულავდა და იღვწოდა სალიტერატურო ენისათვის, თავდადებით მუშაობდა უზრნალისტიკაში. იმდროინდელი ქართული პერიოდიკული ჟურნალები მეთაური იყო, არ შეიძლება ბუნებრივად ასეთი მეტყველება ჰქონდა და სიჩქარის გამო მის ნაწერებში ამ ბუნებრივ მეტყველებას ეჩინა თავი. აյ შესრულის შეხედულებებსაც უნდა ედოს წილი. იგი, წინააღმდეგ ფსევდოკლასიციუმისა, ლიტერატურის მთავარ დანიშნულებას ხედაც საღნის სამსახურში, საღნის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში<sup>91</sup>. ამიტომ, ბუნებრივია, ეცდებოდა, მისი ნაწერების ენა ახლოს ყოფილიყო ნაღნის ენასთან.

ნატურალიზმიდე მიყვანა პერსონაჟებისა თუ აეტორის ენისა შესაძლოა ასევე შემთხვევითი არ იყოს.

მაგრამ ამაზე მსჯელიბა აქ შორს წაგვიყვანდა.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა გ. წერეთლის თეორიული შეხედულებანი სალიტერატურო ენის უნიფიცირების პრინციპულ საკითხებშე. მისი პზრით:

1. ენა ადამიანის ნააზრევის, მისი აზრის გამოხატვის საშუალება: „სოფლის დასაბამიდგან რაც აზრი ჰქვას მოუმკია, ენა არის იმის წარმომზემელი და იმის გადმომცემი ერთი შთამომავლობიდან შეორე შთამომავლობამდე“<sup>92</sup>.

2. ენა ხალხისგან განუყოფელია, ხალხის განვითარებას, მისი აზროვნების დონეს ასახოვს. ყველა ხალხს თავისი ენა აქვს. „ეს ენა არის მისი მიუცილებელი საცურრება, სული და ჰქვა-გონება. ენა არის ხალხის სულიერი ნაყოფი, იმის ჰქვა-გონების გამოხატველი, და ვიდრე ეს ხალხი სცხოვრობს, როგორც ჰქვა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წართმევა შეიძლება“<sup>93</sup>.

3. ენა ისტორიულად ცვალებადია. იგი ბუნების კანონების შესაბამისად იცვლება, იზრდება, ზოგჯერ კვდება კიდევ.

4. ენის ზრდას შეაბირობებს, ერთი მხრივ, „დიალექტური განახლება“ (კ. ი. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა სხვადასხვა კილოში. მაგ.: იმერული „ყაზახი“ და ქართლური „გლეხი“) და, მეორე მხრივ,

<sup>91</sup> ალ. კალანდაძე, ქართული უზრუნლისტიკის ისტორია, III, თბილისი, 1985, გვ. 526.

<sup>92</sup> კ. წერეთელი, უნინმარინის ეროვნული და იმის ხაუბარი შეითველებით, საფრთხოება, 1868, № 20. იგნორე თხ. სრ. კრებ. I, 1931, გვ. 228.

<sup>93</sup> იქ 30.

ბგერათა ცვლილება, მაგ : - მი თანდებული აღრე დამოუკიდებული სიტყვა იყო: შიგან და აღნიშნავდა „შუაალაგობას“, უემდებ ფორმა იცვალა, დაგარება დამოუკიდებლობა და მნიშვნელობაც და სხვა სიტყვას მიეკედლა<sup>94</sup>.

5. სალიტერატურო ენის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ცოცხალ ჩალსურ მეტყველებასთან მის კავშირზე. ივი დრა-ლექტურისაგან განწყვეტლივ იღებს ახალ სიტყვებს, გამოიქმებს, სიტყვასწარმოებას.

6. ძველი ქართული ენა „ძალიან შემუშავებული ენაა“, მაგრამ დღეს ამ ენით აღარავინ სარგებლობს, რადგან ის არ ემდარებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, ჯავახეთის ცოცხალ მეტყველებას და დროთა განშავლობაში ხალისითვის ძნელი გასა-გები გახდა. ე. ი. დახვეწილი ძველი ქართული სალიტერატურო ენა ცოცხალ მეტყველებას მოსწერა და სიცოცხლის უნარი დაკარგა.

7. ახლა იქმნება ასაღი ენა, რომელშიც ყველა კუთხის („მაზ-რის“) მეტყველება იქნება შერთული — ქართლისაც, კახეთისაც, იმერეთისაც... ეს ენა კულას ების და ჩქარათაც იჩრდება<sup>95</sup>.

8. „როდესაც ეს ახვდი ენა ღიტერატურული კარგად შემუ-შავდება, ის არასოდეს არ უნდა დავაცილოთ ჩვენს სათემო ქნებს, კილოებს ანუ დიალექტებს („ენაცულებს“), თუ რომ გვინდა, მუდამ ცოცხალი ღიტერატურული ენა გაქონდეს და ისე არ მოკვდეს, რო-გორც ძველი სალიტერატურო ენა მოგვდა“<sup>96</sup>.

9. ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლურ დიალექტებსაც. რადგან ცოცხალ მეტყველებაში საქრთოდ და ზოგიერთ კუთხეში კეტძოდ — რაჭაში, გლოւლაბა და ზემო იმერეთში — „ყველაზე უფრო წმინდათ შენახულა ქართული ენა და იგი უნდა შეიქმნეს ცხოველი ბუნებითი წყარო ჩვენი სალიტერატურო ენისა“<sup>97</sup>.

10. საღხვის მეტყველებაზე დაყრდნობა დიალექტიზმებს, პარა-ლელურ ფორმებს აჩენს სალიტერატურო ენაში. საჭიროა საერთო

<sup>94</sup> გორის კლი, ჟილოლიშვილი განხილვა ქართულის ენისა, „პრემიუმი“, 1872, № 7.

<sup>95</sup> ა. ჯ. ე.

<sup>96</sup> ა. ჯ. ე.

<sup>97</sup> ბახვი, „კალის“ ფილტრ „კვალი“, 1894, № 50.

ქართული სალიტერატურო ენის დახვეწია. რაც ხანგრძლივი, შრომა-ტევადი პროცესია.

„საბოგადო, ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა, რამდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა მიუცილებლად საჭირო სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დაღვეს, თავისი შესაფერისი ღიტერატურული ფორმა მიიღო“<sup>22</sup>.

11. უცხოური ლექსიების შემთხანა გარდაუვალია. ახალი აზრებისა და მცენიერების მოხსოვნილებათა შესაბამისად უცხოური სიტყვები შოგვერ უთარგმნელადაც შეიძლება შემოვიტანოთ. შოგვერ კი ქართულ ნიადაგზე უნდა შევქმნაოთ შესაბამისი სიტყვა, ზაგრამ განუკითხავად, დიდი რაოდენობით უცხო სიტყვებით ენის აჭრელება მიუღებელია. ახალ სიტყვათა უკეთ ასათეისებლად საჭიროა ღევესიერნის შედგენა<sup>23</sup>.

12. გ. წერეთელი შესებია სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ბევრ კონკრეტულ საკითხს, ასე, მაგ.: ა) უმართებულოა ორმაგი მრავლობითის ფორმები (კარებები, კაცებთა, ქალებთა...), რომელთა სმარებას „კვალიც“ ვერ უვლის გვერდსო; ბ) არ ვარგა ფორმები: ესლა, ვეთაყვანე, შეიშვნებს, შეუძლიან... მართებულია: აზლა, ვეთაყვანე, შეიშნობს, შეუძლია...; გ) მართებულია: დის, ცდილობს, ცხოვრებს, წერს... ფორმები და არა სდის, სცდილობს, სცხოვრებს..., რადგანაც სახელმწიაში ს არ არის: დენა, ცდა, ცხოვრება<sup>24</sup>.

გ. წერეთელი, როგორც რედაქტორი, „კვალიც“ წამყვანი თანამშრომლების შეხედულებებს იშიარებს. მაგ.: ეთანხმება აკაკის აზრი იმა რე გ ბ ფორმის მართებულობის შესახებ; მხარს უჭრს სილ. ხენდაძის ბრძოლას პ, ს თავსაჩითების წინააღმდეგ და „კვალში“ მათ არ ხმარობს<sup>25</sup>; იშიარებს კეთილსმოვანების პრინციპს. ასე, მაგ.: უმართებულოდ შიაჩინია სცდილობენ, სცხოვრობენ... ფორმები, რადგან თინი ეხსოვებოთვანი ბევრის თავმოყრა კეთილსმოვანების პრინციპს არ შიგხადაგება<sup>26</sup>. ასევე, მისი აზრით, ღეჭ-

<sup>22</sup> „გამცხადება „დროშის“ ვამცემაზე 1868 წელში“, „დროშა“, 1868, № 1. ფრენერი: აზრ. სრ. კრებ. ტ. I, გვ. 389.

<sup>23</sup> ვ. წერეთელი, ძეგლი წლის ნაყოფი და ახალი წლის კურები, „დროშა“, 1867, № 3.

<sup>24</sup> ვ. ისავე, მცირე შენიშვნა, „კვალი“, 1894, № 43, გვ. 6—7.

<sup>25</sup> ვ. ისავე, „კვალი“ ფილტრ, უცალა“, 1894, № 50.

<sup>26</sup> ვ. ისავე, ვ. წერეთელი, კრიტიკული შენიშვნები, „კვალი“, 1898, № 23.

სიკონში უქსატანი ტერმინის თარგმანი „მოკლე უნდა იყოს და მკვახედ არ გამოითქმოდეს... მოკლე, ენასსნილი გამოთქმა უნდა პერსესო“ ან: თარგმნილი ტერმინი „მუნჯი გამოსათქმელია და არ არის ქარგი გასაგონიო“ და სხვ.<sup>103</sup>

შემოთქმულიდან აშებათ, რომ გ. წერეთლის შეხედულებები და დებულებები შემოგანხილულ ავტორებთან შედარებით არსებით სხვაობას არ გვიჩვენებს. მისი აზრით, ენა ადამიანის ნააზრების გადმოცემის საშუალებაა. იგი ისტორიულად ცვალებადია, ხალხის გან განუყოფელია, მისი მეობის არსებითი ნაწილია. მკედი ქართული დახვეწილი („ძალიან შემუშავებული“) ენაა, მაგრამ, რადგან ცოცხალ სასაგონი ენას, ხალხურ მეტყველებას მოსწყდა, სმარებიდანაც გამოვიდა. ასაღი ენა კველა დიალექტთან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული, არ უნდა დასცილდეს ხალხურ მეტყველებას — ისაა მისი სახიცოცხლო წყარო... დიალექტიზმების ვანუკითხავად, უხვად შემოტანა სალიტერატურო ენაში არ შეიძლება. ასევე ფრთხილად და ზომიერად უნდა შემოვიტანოთ უცხოური დევენიეს. ღლის წესრიგში დგას თანამედროვე სალიტერატურო ენის დახვეწის, პარალელურ ფორმათაგან განთავისუფლების საკითხი, მაგრამ ეს ხანგრძლივი, შრომატევადი საქმეა, რამდენიმე ათეული წლის ხამუშაოა...

\* \* \*

წარმოვადგინეთ რა, ერთი მხრივ, „საქართველოს შოამბესა“ და „ივერიაში“, ხოლო, მეორე მხრივ, „კვალში“ მოღვაწეთა ძირითადი მოსაზრებანი სალიტერატურო ენის ხორმალიზაციის ამოსავალ დებულებათა შესახებ, ამით კვადრე მკითხველისთვის შაგვეცა საშუალება ერთად თავმოყრილ მოსაზრებათა თვალის გადევნებისა. შედარებისა და იმის დანახვისაც, რომ ე. წ. „ორ ბანაკს“ შორის დაბირისპირება არც ისე ღრმა და ყოვლისმომცველი ყოფილა.

როგორც ცნობილია, „ივერიასა“ და „კვალს“ შორის დავის მიზეზი ვასძლ ერთი კეტი საკითხი, სახელდობრ. აღვიაზებ — ვაღიარებით ცოტრშითაგან უფრო სწორი, მართებული ფორმის დადგვნა,

<sup>103</sup> გ. წერეთლის შეხედულების ქრთული ენის სიკითხთა შესახებ პრცენტ განიხილავს ე. ნიკოლაი შვერილი წერილში: „გორგი წერეთული და ქართული ენის საკითხები“, ქართველურ ენათა სტრუქტურის სიკითხი, V, თბილისი, 1981, გვ. 182—193.

იყო გამათი აგრეთვე სხვა კონკრეტულ თუ თეორიულ საქითხთა თაობაზეც. მაგალითად: 1. როგორი უნდა იყოს დასავლური დიალექტების აღიღი და როლი ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებაში; 2. რამდენად მისაღებია ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციისათვის კეთილხმოვანების პრინციპი...

პირველ საქითხზე წინააღმდეგობა არც ისე შორს წასულა. დ. კლდიაზეილის, ე. ნინოშვილის, რაშიკაშვილების, ა. ყაზბეგის დიდებულმა თხზულებებმა უდავო გახადა დიალექტების ჩნიუნელობა სალიტერატურო ენისათვის, დიალექტური მასალის უფლებებიცა და მისი გამოყენების ფარგლებიც. „ივერიის“ ბეკრძამოვა-წემ სიმართლეს თვალებში შეხედა და ამ აზრს მიემსრო. ი. გოგება-შვილი წერდა, დასავლურ დიალექტებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს სალიტერატურო ენის ფორმირებაშით. 1911 წ. ურნ. „განათლებაში“ (№ 8, გვ. 569) გრ. ყიფშიძე წერს: სალიტერატურო ენაში „სხვა პროვინციის კილოებსაც ვარკვეული მნიშვნელობა ენიშვება პერსონაჟის დასახასიათებლად. ლექსიკის გასამდიდრებლად, ენის ისტორიისთვის“. პ. მირიანშვილიც კი, რომელიც თავგამოდებით იცავდა ოლმოსავლური დიალექტების პრიორიტეტს, 1919 წ. (გამ. „სახალხო საქმე“) განაცხადებს: „უნდა ვწეროთ, როგორც თღამარაქება ქართლში და გავამდიდროთ იმ გურულ-იმერული სიტყვებით, რომლებიც დედა-ქართლში აღარ დააჩნიოთ“ და იქვე ამბობს: „ქარგი ქართული ისმის მხოლოდ ქართლ-კახეთში და ზემო იმერეთშით“.

რაც შეეხება კეთილხმოვანების პრინციპს, ცნობილია, რომ ის სუბიექტური პრინციპია და მოულოდნებლიც არ იყო, რომ მიუღებლად მიიჩნიეს იგი „ივერიიულებმაც“ და „არაივერიიულებმაც“.

პ. ჭარაიამ 1895 წ. განაცხადა, მართლწერის პრინციპად კეთილხმოვანების პრინციპი არ გამოდგებათ<sup>104</sup>. გრ. ყიფშიძის აზრითაც, კეთილხმოვანება სუბიექტური კრიტერიუმია და საბუთად არ გამოდგება<sup>105</sup>. პ. მირიანშვილი საკმაოდ შწარედ შენიშვნავდა: „იმერელი გრამატიკოსები ცდილობენ იმურული მეტყველების გაზა-

<sup>104</sup> პ. ჭარაიამ, ქართული ენა და ქართული მართლწერა, „მოამბე“, 1895, № 9.

<sup>105</sup> გრ. ყაფშიძე, ბიბლოოგრატია, „ქართული მწერლობა“, ურნ. „განვითარება“, 1911, № 8.

ტონებას სალიტერატურო ენტი და კეთილხმოვანების მოტივით თავს ესხმიან სწორ ფორმებს. ის, რასაც იმერელი აფთორები კეთილხმოვანებას უწოდებენ (ცოა, თათფიზი...), ამერულად ჩიფრით უდრისთ"<sup>106</sup>.

ცოტა უფრო გვიან სერგი გორგაძე ასეთ შეფასებას იძლევა: სიღ. ხუნდაძის პრინციპები იყო „მეაფიოდ ჩამოყალიბებული და საკმაოდ ფართოდ განზრახული, მაგრამ... ვიწრო სუბიექტური სასიათის პრინციპებზე დამტკარებული პროექტი სამწერლო ქართულის მოწესრიგებისა“<sup>107</sup>.

კეთილხმოვანების პრინციპის სუბიექტურ პრინციპად მითწნევენ გამოჩენილი ქართველი კათმეცნიერები (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...): „კეთილხმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვის ბერითი სახე უაღრესად ახგარიშვასაწევია პოეტური სტილის თვალსაზრისით, ზაგრამ მორტოლოგიურ-სინთაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლებელია მით ვიხელმძღვანელოთ. ყოველ პირს კეთილხმოვნად ის მიაჩნია, რომლის ხმარებასაც ოვითონ არის მიჩეული“ („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული“, თბილისი, 1970, გვ. 2). ამრიგად, საერთო აზრია, რომ კეთილხმოვანების პრინციპი ნორმათა დასადგენად უგარებისა.

ამა თუ იმ კონკრეტულ თუ თეორიულ საკითხშე განსხვავებული აზრი ხშირად პქმნდათ არა მარტო ამ ორი „დაპირისპირებული ბანაჟის“ წარმომადგენლებს, არამედ ერთი და იმავე ბანაჟის წარმომადგენლებსაც. ასე, მაგ., იდგა საკითხი, თუ რომელია უფრო მისაღები სალიტერატურო ენისათვის: უკვე სახმარად გამოყენებული გენიალური, სოციალური, ადმინისტრაციული, თუ: გენიალი, სოციალი, ადმინისტრატივი (პ. მირიანაშვილი). ან: გენიალი, სოციალური, ადმინისტრატივებური, დემოკრატებური (იღია); ან კიდევ: ახალი ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების საწინდარს სხვადასხვავვარად სედავდნენ „ივერიის“ მოღვაწენი: აღ. ნანევიშვილის აზრით, ენის წინსვლა შესაძლებელია ძველისა და ახალი ენის შეერთებით, შეკავშირებით. ამ შეხედულებას წინ აღუდგა ნ. ურბნელი (სიზანიშვილი): ძველისა და ახლის ბრძოლაა იმის მიზეზი, რომ აქამდე ჩვენს მწერლებს სა-

<sup>106</sup> პ. მირიანაშვილი, „სახალხო საქმე“, 1919, № 695.

<sup>107</sup> ს. გორგაძე, ახალი სალიტერატურო ჯროტულის ისტორიადან, კურნ. „შემთხვევა“, 1929, № 5—6.

ერთო ლიტერატურული კილო არა ტქითო... „ივერიაში“ აზრთა სხვა-  
ობა იყო ქართული სალიტერატურო ენის ფუძე დაღექტის შესახ-  
ბაც: გრ. ყიფშიძე, ნ. ურბანელი, ალ. ხახანაშვილი და სხვები ქართ-  
ულ კილოს მიიჩნევდნენ ასეთად, პ. მირიანაშვილი კი ცდილობდნ, მესხურისათვის მიენიჭებინა პრიმოტეტი...

ასე რომ, აზრთა სხვათა, თაქამათო საკითხი არა მარტო „ორ  
ბანაკს“ შორის, არამედ თითოეულ „ბანაკშიც“ ბევრი იყო და დავაც  
(ზოგჯერ (კხარეც) ბევრჯერ გამართულია. უშორ საგულისხმო ფაქ-  
ტია, რომ ამ ბანაკთა წარმომადგენლებს შორის საერთო მეტი იყო,  
თითქმის ყველა ბრინჯიშულ საკითხში ეს მოღვაწენი ერთი აზრისანი  
იყვნენ. ასე, მაგალითად: ორივე ბანაკი მტკიცედ აღიარებდა, რომ:

1. ენა ისტორიული ხსიათის მოღვენაა, ცვალებადია, (ილია, დავ.  
დავ. ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, პ. მირიანაშვილი, ალ. ნანუაშვილი,  
აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

2. ენა ერის არსებითი ნიშანია (ილია, დავ. ყიფიანი, ი. გოგე-  
ბაშვილი, გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

3. ენას აქვს თავისი სინაგონი კანონები და გარედან ეერაფერს  
მოახვევ თავს (ს. ხიშანიშვილი, აკაკი, ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი);

4. სალიტერატურო ენა ერის შემავალშირებელი ძალაა. ამიტომ  
დიდი მნიშვნელობა აქვს ნის უნიფიცირებას, საღვიო ფორმათა მო-  
წესრიგებას, დახვეწას (დავ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე...);

5. ახალი სალიტერატურო ენა ხალხის მეტყველებას უნდა ემყა-  
რებოდეს, ახლოს უნდა იყოს სასამართლო მეტყველებასთან (ილია,  
დავ. ყიფიანი, დიმ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ალ.  
ნანუაშვილი, ს. ხუნდაძე, აკაკი, გ. წერეთელი...);

6. ცოცხალი მეტყველება მუდმივი უშრეტი წყაროა სალიტე-  
რატურო ენის გასამდიდრებლად (ვაჟა, აკაკი, პ. მირიანაშვილი,  
ი. გოგებაშვილი, ს. ხიშანიშვილი, გ. წერეთელი...);

7. მარჯვე კუთხეზე სიტყვები და გამოთქმები უნდა ვაკრცელ-  
დეს და დამკიდრდეს სალიტერატურო ენაში (ი. გოგებაშვილი,  
ვაჟა, აკაკი...);

8. დიალექტური მეტყველების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ  
პერსონაჟთა ენაში (პ. მირიანაშვილი, ვაჟა, ს. ხუნდაძე...);

9. ახალი სალიტერატურო ენა ჭრელია, დამძიმებულია დიალექ-  
ტიშებით, უცხო სიტყვებით (გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი,  
ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი...);

10. საღიტერატურო ენის უნიფიცირებას სჭირდება ერთიანი, ყველასათვის სავალდებულო ნორმების შემუშავება (გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...);

11. ნორმების შემუშავებისას დაუშვებელია რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის უპირატესობის მინიჭება (დავ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე...);

12. მველი ქართული მდიდარი, დახვეწილი, მაღალი დონის ენა (ილია, დიმ. ყიფიანი, ი. გოგებაშვილი, აკაკი...);

13. უცხო სიტყვა შეიძლება შემოვიტანოთ, თუ ბადალი სიტყვა არა გვაქვს (დავ. ყიფიანი, პ. მიზანაშვილი, გრ. ყიფშიძე...). მაგრამ დაუშვებელია უცხო გრამატიკული კატეგორიის შემოტანა ენაში.

14. უცხო სიტყვის მართლწერა უნდა დაექვემდებაროს ქართული მართლწერის წესებს (პ. მიზანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

15. ქართული ანბანი სტულიტილია — ასოსა და ბერას შორის სრული შესაბამისობა (ილია, დიმ. ყიფიანი, ს. ხუნდაძე...);

16. მართლწერა (ორთოგრაფია), როგორც გრამატიკის დატვი, ქართულში არ არსებობს (პ. მიზანაშვილი, ს. ხუნდაძე...);

17. საღიტერატურო ენის დამკვიდრებაში, გამდიდრებასა და დაცვაში დიდი როლი ენიჭება მწერლობას (ილია, ვაჟა, პ. მიზანაშვილი, აკაკი...);

18. საღიტერატურო ენის საკითხთა ურთისართვნულიდ ვადაწყვეტა შეუძლებელია (ილია), სასურველია ენის მცოდნე პირთა შეკრება და ამ კრებაზე ყველასათვის სავალდებულო წესების დაღვენა (ილია, გრ. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე...) და სხვ.

შემონათქვამიდან გამომდინარე, გვინდა ნაჩი გავუსვათ, რომ ქართულ პერიოდიკაში გამოილი ფართო მსჯელობა საღიტერატურო ენის საკონექტზე წარმოგვიდგება, როგორც ქართული გრამატიკული აზრის დუღილის პროცესი, ქართველი ინტელიგენციის ერთობლივი ბრძოლა ისეთი დიდი ეროვნული საქმისათვის, როგორც იყო ახალი ქართული საღიტერატურო ენის დამკვიდრება, დასკვანებული დაპირისპირება, სრულყოფა. „ივერიელთა“ და „ქვაბლელთა“ ქამათი — ეს იყო კამათი რამდენიმე საკითხის შესახებ, დავა განსხვავებული შეხედულებების გამო (შოგვერ ცოტა გამწვავებულიც, რასაც ხელს უწყობდა ს. ხუნდაძისათვის ჩვეული მკაცრი, დაუშოგავი, ხანდახან არაგორებული ტონი) და არა გათიშულობა, პრინციპული დაპირისპირება. ეს იყო ძიება შემართიტებისა, ამ კეშმარიტებისაჟენ მიმავალი გზებისა. ცხადია, ამ ძიებასა და ფიქტში სხვა-

დასხვა აზრი იბალებოდა, ამ აზრთა აწონ-დაწონა, შეფასება ( სანდა-  
ხან შეაცრიც ), ზოგჯერ შეჯახებაც კი ბუნებრივ მოვლენად უნდა  
ჩაითვალოს. ისიც ბუნებრივია, რომ ხშირად რამდენიმე მოღვაწის  
აზრი თუ შესულება უახლოედუბოდა და ემთხვეოდა კიდეც ერთ-  
მანეთს.

შეუძლებელია ღრმა, პრინციპულ დაპირისპირებას ვხედავდეთ  
მათ მორის, რადგან ქართველი კრის კეთილდღეობისთვის თავდა-  
დებული მოღვაწენი ერთი შეგნებით იღვწოდნენ: უნის ერთობა ერის  
ერთობათ.